ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ს-07/9671-16 07 02 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, პეკინის ქ.№4-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის რეკონსტრუქცია) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, პეკინის ქ.№4-ში, მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-9“ ფასადზე: „2-3“ მონაკვეთში „±0.00“ ნიშნულზე კედელი არ არის მოპირკეთებული ტრავერტინის ქვით. პროექტში არ ფიქსირდება არსებული ანაკრები კონსტრუქციების გადაბმის ხაზები(ასევე „9-1“ ფასადზე). „1-3“ მონაკვეთში სამანქანოზე დამატებით მოწყობილია ფანჯრის ღიობი, მის გვერდით ნიშა და კონდენციონერი. „7-9“ მონაკვეთში „+24.68“ ნიშნულზე კედელი შესაღებია.

„ა-ე“ ფასადზე: „ა-გ“ მონაკვეთში ცოკოლზე შემცირებულია ბაზალტის ქვით მოპირკეთების სიგრძე. „დ-ე“ მონაკვეთში ტრანსფორმატორთან შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი.

„9-1“ ფასადზე: შეცვლილია ზოგიერთი ფანჯრების ნახატი. „7-6“ მონაკვეთში „+4.50“ ნიშნულზე კედელის ნაწილი შესალესია. „2-2“ ღერძის მიმდებარედ დამატებით მოწყობილია წყალშემკრები მილი. პროექტით გათვალისწინებული 128 ერთეული კონდინციონერი არ არის მოწყობილი.

„-2.90“ ნიშნულზე: „6-7“ მონაკვეთში შიდა კიბეზე პირველ მარშზე დამატებულია საფეხური, ხოლო შუა მარშზე მოკლებულია საფეხური. „8-9“ მონაკვეთში „გ-დ“ ღერძებს შორის შიდა კიბე ნაცვლად კაპიტალურისა მოწყობილია ანაკრები. ამავე მონაკვეთში „ა-გ“ ღერძებს შორის „±0.00“ ნიშნულის ფილის ქვეშ მოწყობილი შველერები არ ფიქსირდება პროექტში.

„±0.00“ ნიშნულზე: „6-9“ მონაკვეთში „გ-გ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ორი კოლონა.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოქ. რამაზ გაჩეჩილაძეს ქ. თბილისში, სექტორი-საბურთალო, პეკინის ქ.№4-ში,

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №07/9671-16 31.01.2013წ.

განცხადება.

უფროსის მოადგილე

ვ. მუჯირიშვილი

